



## საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

---

### ამმაიფარაშვილი გივი ვასილის ძე

ამმაიფარაშვილი გივი ვასილის ძე ( 1. IX. 1930, თბილისი –27.IV.2003, იქვე), დირიჟორი. საქართვე. სახ. არტისტი (1983), პროფესორი (1976), თბილ. სახელმწ. კონსერვატორიის პედაგოგი (1968-იდან), შ. ამმაიფარაშვილის ძმისშვილი და მონაფე.

1955 დაამთავრა თბილ. ვ. სარაჯიშვილის სახ. სახელმწ. კონსერვატორია (პროფ. გ. სვანიძის საფორტეპიანო კლასი), 1960 ლენინგრადის კონსერვატორიის სადირიჟორო განყ-ბა (პროფ. ი. ტემირკანოვის კლასი). 1960-იდან მუშაობდა დირიჟოროად. 1974-84 მთავარ დირიჟოროად თბილ. ზ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის ეროვნ. თეატრში, სადაც განახორციელა 24 ახ. დადგმა, მ. შ. ზ. ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერი“, მ. ბალანჩივაძის „დარეჯან ცბიერი“, ო. თაქთაქიშვილის „მინდია“ და სხვ. აგრეთვე საზღვარგარეთის კლასიკოს კომპოზიტორთა ოპერები (ჯ. ვერდის „აიდა“, „ტრავიატა“, „რიგოლეტო“, „ტრუბადური“; ჟ. ბიზეს „კარმენი“; პ. ჩაიკოვსკის „პიკის ქალი“ და სხვ.) 1962 დააარსა საქართვე. სახელმწ. კამერული ორკესტრი, იყო მისი პირველი სამხატვრო ხელმძღვ. და დირიჟორი 1967-მდე. 1982-იდან საქართვე. ტელერადიოდეპარტამენტის სიმფ. ორკესტრის ხელმძღვანელი და მთავარი დირიჟორი. ეწეოდა საკონცერტო მოღვაწეობას საქართველოსა და საზღვარგარეთის ქვეყნებში.

**თ. კვირიკაძე**

---